ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N20

ქალაქი ბათუმი 27 ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ შპს „სტადიონი" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ზირაქაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „თურსა" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ ფუტკარაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია სხვადასხვა დასახელების სანიტარულ ფიგიენური საქონლის შეძენა დანართი N1 შესაბამისად (CPV კოდი: 39200000; 39500000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1098,95 (ერთი ათას ოთხმოცდათვრამეტი ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარს, მათშორის CPV კოდი: 39200000 განსაზღვრულია 379,1 ლარი და CPV კოდი: 3950000 განსაზღვრულია 719,85 ლარი.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 2016 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში.
4.2. საქონლის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.
4.3. საქონლის მიწოდების ადგილია ქალაქი ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N98.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.
5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.
5.3. შემსყიდველმა [illegible] ინაცვლოს საქონელი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

STADIUM 445409415

შემსყიდველი

მიმწოდებელი

5.4. თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად, ან მის გარეშე, ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.
5.6. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემონმების შედეგები, დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
6.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ შევსებული სასაქონლო ზედდებულის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7. გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი ექსპლუატაციის დროს არ გამოავლენს დეფექტებს.
7.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და არსებულ სტანდარტებს.
7.3. 7.2. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
8.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შპს „სტადიონი"-ს შესყიდვების მენეჯერი ლაშა თურმანიძე.
8.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.
8.4. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით – საქონლის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.
8.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

STADIUM

შემსყიდველი

მიმწოდებელი

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

10.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.

10.4. 10.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულების 12.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

12.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 12.1. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. შეთანხმების მიღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

ეროვნული სტადიონი
STADIUM

შემსყიდველი

მიმწოდებელი

14. სხვა პირობები

14.1. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

14.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციაში მითითებულ დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

14.3. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15.5. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა მორის შესრულდება ქართულ ენაზე.

14.7. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 იანვრამდე.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

შპს „სტადიონი"

საქართველო, ქალაქი ბათუმი ბულვარი დასახლება ნავთობ ბაზა, ქალაქის ადმინისტრაციული შენობა

ს/კ 445409415

სს „ჯორ-სტანდარტ ბანკი"

მფო KSBGGE22

ა/ა GE33 KS00 0000 0340 8000 23

მიმწოდებელი:

შპს „თიბისა

საქართველო, ქალაქი ბათუმი

აერეპორტის გზატკეცილი N92

ს/კ 248435670

სს „თი ბი სი ბანკი"

მფო TBCBGE22

ა/ა GE57TB7484936060100001

სტადიონი
445409415

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ინფორმაცია შესასყიდი საქონლის დასახელების, ტექნიკური მაჩვენებლებისა და ფასების შესახებ

#	საქონლის დასახელება და ტექ. პირობა	განზ.ერთ.	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	კლასიფიკატორის კოდი
1	ლამბნაკის საწმენდი სიითხე 1ლტ (12)	ცალი	4	3.30	13.20	39500000
2	ხის ფაცის საწმენდი 300 გრ	ცალი	4	2.30	9.20	
3	ჭურჭლის ფქვილე 725 გრ ლიტონი (16)	ცალი	10	2.20	22.00	
4	ბუტერბროდის ხორცული ჯგრისი (12)	ცალი	2	4.35	8.70	
5	იატაკის ტილო 50-70 (120)	ცალი	5	6.70	33.50	
6	ასორტის ტილო 60 სმ (100)	ცალი	10	8.50	85.00	
7	ბილეების გამბსნელი (საწმენდი) 1000 გრ	ცალი	4	2.50	10.00	
8	იატაკის ტილო ნოიფლი/ა ფიფლი-ცისფერი 50-80	ცალი	10	2.70	27.00	
9	ტილო (ფერადი) 40-40 (240)	ცალი	5	3.45	17.25	
10	ტილო მიკროფიბრა 35X35 (300)	ცალი	3	3.45	10.35	
11	ხელის ბანაკი სანი 400+700 გრ (12)	ცალი	3	3.10	9.30	
12	სალფეტკა 100 ცალიანი 33-33 (12)	ცალი	20	3.20	64.00	
13	ჭურჭლის სარეცხი ფხვნილი 5კგ (48	ცალი	20	1.95	39.00	
14	ტინის საწმენდი 900-500 მლ	ცალი	3	3.95	11.85	
15	ბლანკ ანანასური ფოფოლი ძალიან სახელოვანი (12)	ცალი	2	9.70	19.40	
16	ბაბნა-ბაბნა საწმენდი ეროვნული ლიმონი 675 გრ	ცალი	2	2.20	4.40	
17	მაგ ჯვის საწმენდი ტილო 8 ცალიანი (48)	ცალი	10	4.20	42.00	
18	ბლის ფუნტების ჯგრისი (24)	ცალი	3	4.10	12.30	
19	ნაგვის პარკი სქელი 80-110 10ც (20)	შეკვრა	10	5.50	55.00	
20	ნაგვის პარკი სქელი ლატონი (10 ცალი)	შეკვრა	10	1.70	17.00	
21	ტექ. ჩანთა 100 ც 2 ფენიანი 4 კგ. შეკვრა (12)	შეკვრა	5	2.30	11.50	
22	იატაკის ტილო 80 სმ (25)	ცალი	5	6.20	31.00	
23	იატაკის საწმენდი ტილო ზაშბის (24)	ცალი	5	3.80	19.00	
24	იატაკის ტილოს ასორტი 50 სმ (24)	ცალი	2	7.90	15.80	
25	ულიერბალული ალიანი 5 კგ (4)	ცალი	2	10.85	21.70	
26	იატ. ტილოს ასორტი 80 სმ (24)	ცალი	2	9.85	19.70	
27	ბლის სახელოვანი მტვერის საწმენდი (48)	ცალი	2	7.40	14.80	
28	ბლანკ ტინის საწმენდი 40 სმ (48)	ცალი	2	2.60	5.20	
29	რეზინის სახელური 130 სმ (ფერადი სახელურით) (20)	ცალი	2	4.95	9.90	
30	ბაბნარეულის ბელიჩკები	ცალი	20	2.00	40.00	
31	ხიფლიბა (მატარა) [illegible]	ცალი	1	11.80	11.80	

32	ხალიჩა (საშუალო) შესასვლელისათვის	ცალი	1	9.00	9.00	
	ჯამი				719.85	
1	პლასმასის სახელოიანი წითელი	ცალი	2	1.40	2.80	39200000
2	ალუმინის ვედრო სანურით (12)	ცალი	2	9.90	19.80	
3	ელ.მაგნიტური	ცალი	1	40.00	40.00	
4	ჩაის ჭიქები (6 ცალი)	შეკვრა	1	9.95	9.95	
5	ძაფრიდული ჭიქები (2 ცალი)	შეკვრა	1	7.00	7.00	
6	თეფშებიან(6 ცალი)	შეკვრა	2	14.30	28.60	
7	თეფში დიდი	ცალი	2	4.10	8.20	
8	კოვზები დიდი (6 ცალი)	შეკვრა	1	6.40	6.40	
9	კოვზები (6 ცალი)	შეკვრა	2	1.80	3.60	
10	ჩანგლები (6 ცალი)	შეკვრა	1	3.20	3.20	
11	თეფშების ჩასაწყობი	ცალი	1	9.95	9.95	
12	საოჯახო ნაგვის ურნები	ცალი	10	8.40	84.00	
13	დანა	ცალი	1	4.90	4.90	
14	პლასმასის თასი	ცალი	2	5.65	11.30	
15	პლასმასის პოდნოსი	ცალი	2	6.50	13.00	
16	საფერფლე დიდი (ალუმინის)	ცალი	2	24.00	48.00	
17	საფერფლე მაგიდის (2 ცალი)	შეკვრა	2	6.40	12.80	
18	წყლის ჩიქები (6 ცალი)	შეკვრა	3	7.40	22.20	
19	წყლის გრაფინი	ცალი	4	10.85	43.40	
20	ჯამი				379.10	
21	**საერთო ჯამი**				**1098.95**	

შპს „თეორსა"

დირექტორი ზვიად ფუტკარაძე